



სახელმწიფო შესყიდვების შესახებ  
ხელშეკრულება N2.9.18/10/056



ქ. თბილისი

08 აპრილი 2016 წელი

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შესყიდველი“), წარმოდგენილი მისი გამგებლის გიორგი კოპალეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, მეორეს მხრივ, შპს „იკორთა 2007“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გივი ხურცილავას სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 შესაბამისად, შესყიდველი განახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე იეთიმ გურჯის ქუჩა N4/9-ში ხაძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (კლასიფიკატორის (CPV) კოდი № 45200000). გამარტივებული შესყიდვა შეთანხმებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განვარგულება N1163 (SMP160001089)).

**2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შესყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შესყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2.4. „შესყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

**3. ხელშეკრულების საგანი**

3.1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე იეთიმ გურჯის ქუჩა N4/9-ში ხაძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა (CPV 45200000).

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა და ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 64014,28 (სამოცდაოთხი ათას თოთხმეტი ლარი 28 თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2016 წლის 30 მაისის ჩათვლით;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონის ტერიტორია.

5.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. სამუშაოების ეტაპობრივი ჩაბარება არ ხორციელდება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მაღლაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლებისა და შემსყიდველის (მე-17 მუხლის 17.4. პუნქტში მითითებული პირების) ხელმოწერით;

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეული ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ (ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში) (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად).

7.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით;

7.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მე-3 პირის დაზიანებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;

7.5. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად შემსყიდველს წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი (ფორმა N2), მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის საკითხებში, გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების შესაბამისი სპეციალისტები.

## 8. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში;

8.2. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2(ორი) წელი.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო პერიოდში წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

8.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

8.5. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება;

## 9. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

9.3. წინასწარი/ეტაპობრივი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის;

9.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

9.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დაარღვევს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტებლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე;

9.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

### **10.1. შემსყიდველი ვალდებულია:**

გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

### **10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:**

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დაზუსტოს შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება;

### **10.3 მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) დააკამდებოდოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

### **10.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

მოთხოვნის შემსყიდველი შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

### **11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

11.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის დამრღვევა მხარეს ეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით. იმ შემთხვევებში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტებლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე;

11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს ოდენობით;

11.4. თუ შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ შეესაბამება მოთხოვნას, მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ მოახდინოს ნაკლის გამოსწორება 7.2. და 7.3. პუნქტებით გათვალისწინებული წესით. თუ იგივე ფაქტი განმეორდება, მიმწოდებელს ნაკლის გამოსწორებასთან ერთად ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ს ოდენობით. მესამედ იგივე შემთხვევა იწვევს მიმწოდებელის დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს ოდენობით და შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი განაცხადოს სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე.

### **12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ მოითხოვება.

### **13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია კომუნიკაციური საშუალების წებისმიერი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ზდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

13.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

13.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

#### 15. ფორს-მაჟორი

15.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ:

15.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

15.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

#### 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოღაპარაკების საფუძველზე;

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 17. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

17.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

17.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

17.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურის ეკსპლუატაციისა და განვითარების მიმართულებით, გამგების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების შესაბამისი სპეციალისტ(ები). იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

17.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრილების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

## 18. სხვა პირობები

18.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით;

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

18.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

18.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად;

18.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით;

18.7. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<p><b>შემსყიდველი</b> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 115; საიდენტიფიკაციო ნომერი: 204 521 776 საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში კრწანისის რაიონის გამგებელი გიორგი კოპალეიშვილი</p> 	<p><b>მიმწოდებელი</b> შპს „იკორთა 2007“ მის: ქ.თბილისი ი.აბაშიძის ქ.N44 საიდენტიფიკაციო ნომერი: 205216327 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ანგარიშის NGE35BG0000000207382300 ბანკის კოდი: BAGAGE22 გივი ხურცილავა</p> 
---	--

ରୂପାର୍ଥତି-1

ନୀତିରେ ପ୍ରମାଣିତ କାନ୍ଦରିଲୁଙ୍କରେ ଏହାରେ ଉପରେ ଶ୍ରେଣୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ

ხარჯთაღინიცხვა

№	საფუძველი	სამუშაოების ჩამონათვალი			ნორმატიული რესურსი			მასალა			ხელფასი			ტრანს. ღა.	მექან. ღა.	ჯამში დარღი	
		ვაწი	ერთ.	სულ	ვრთ	ჯამი	ვრთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი	ერთ	ჯამი			
1	46-28-2	ნახანძრალი სახურავის ბურულის დაშლა მანქანები	კვ.მ		27		0		0		0		0		0	0	0
2	რ25-8-15.	სახურავის ხის კონსტრუქციების დაშლა 5+(126,7*0,2) სასკვერო დათბუნების დაშლა 5+(126,7*0,2)	კვ/სთ ლარი	0,082 0,005	2,21 0,14	4,6	10,17	0	0	0	3,2	0,43	0	0	0,4	0	0
3	რ1-2	შრომითი რესურსები ნაგვის დატვირთვა ავტოვეზითიცლელებზე ხელით	კვ/სთ	9,98	31,94	4,6	146,91	0	0	0	0	0	0	0	0	0	146,9
4	სრფ015-III	სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება 25 კმ-ზე თვითმცლელები მანქანებით	ტონა		3,2		0		0		0		0		0	0	9,4
5	თ13 პ25	წყალგაუმტარი „ტენცებით“ დროებითი გადახურვის მოწყობა შრომითი რესურსი მასალისი: ტენცი გამომწვრი მავთული	კვ.მ		27								10,65	59,64	59,6	0	0
6	10-11-1.	სახურავის ახალი ხის კონსტრუქციების მოწყობა შრომითი რესურსები ქ=1,15 მანქანები ქ=1,25 ხის მასალა ჭურვმანი გლინულა ანგისებიერი პასტა	კვ/სთ ლარი კუბ.მ	0,05 1,05 0,03	1,35 28,35 0,81	6	8,1	3	85,05	4	3,24		0	0	0	0	0
			კუბ.მ.		0,57		0										
			კვ/სთ ლარი კუბ.მ.	27,37 2,625 1,05	15,6 1,5 0,6	6	93,61	0	0	3,2	73,08	0	0	93,6	73,1	335,2	
			კბ	კბ	7,2	4,1	0	3,5	14,36	1,26	3,15	0	0	0	14,4	3,1	
			კბ	კბ	4,38	2,5	0	1,26	8,94	8	8,94	0	0	0	8,9	8,9	

7.	10-37-1.	სახურავის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა და ანტისეპტიკების შრომითი რესურსები მანქანური სანარსაწინააღმდეგო და ანტისეპტიკური სენარი სხვა სარჯები	კუბ.მ. კუბ/სთ ლარი კბ	0,57 0,87 0,13 10,06	0 0,5 0,07 5,73	0 6 0 0	0 2,98 0 3,2	0 0 0,24 0	0 0 0 3,2	0 0 0 0,2	
8.	სახაზო	სახურავის მოწყობა ანთრიცენტული შრომითი რესურსები ანოდინურებული თუნექი ფიცარი IV ხ. 30შ-იანი და შეტი ლურსამანი მოლარტენის ლურსამანი სახურავის ნაჟელი მოთუთიერებული მანქანები 1,1X1,15=	კეტ.მ. კეტ/სთ ლარი კბ	1 1,15 0,018 0,06 0,011 0,52 0,013	27 31,05 0 0 0 14,04 0,35	0 0 15 560 2,4 3,89 3,8 2,7 0	0 0 465,75 272,16 0 0 1,13 37,91 0	0 0 0 0 0 0 0	0 0 0 0 0 0 0	0 270 465,8 272,2 3,9 1,1 37,9 1,1	
9.	8-22-1.	ხარჩილების მოწყობა და დაშლა შრომითი რესურსები მანქანები ხარჩის დათოვნის დაშალები ხის დეტალები ფარი ფენილის	კუბ.მ. კუბ/სთ ლარი კბრა კებ.მ. კეტ.მ.	100 45,8 0,23 0,037 0,006 1,2	0,2 9,16 0,046 0,0074 0,0012 0,24	6 54,96 0 0 0 0	3,2 0 0 1350 450 17	0,1472 0 0 9,99 0,54 4,08	0,1472 0 0 0 0 0	54,96 0,1472 9,99 0,54 4,08	
10.	საბაზო	ხანძილება და ხართულებულის აივნისა და სართულებულის გადახურვების დროებითი გამაფრება ხელითონის ელექტროლიტოთ ინვენტარულ დომეკრატიზაცია	კუბ.მ. კუბ/სთ ლარი კეტ.მ.	1,0	35,00	12,0	420,0	10,0	350,0	3,0	105,0
11.	46-28-2	ნახანძილება სახურავის დაშლა შრომითი რესურსები მანქანები	კუბ.მ. კუბ/სთ ლარი კეტ.მ.	42,8 0,082 3,5096 0,214	1,0	42,8	0	0	0	0	0,0
12.	რ25-8-15.	სახურავის ხის კონსტრუქციების და სასევნი დათბუნების დაშლა 5+(126,7*0,2)	კუბ.მ. კუბ/სთ ლარი კეტ.მ.	5	0	0	0	0	0	0,7	16,1
13.	საბაზო	უმარტისი რესურსები დაშლა და ენერგიის ჩამოტანა (8,14+11,83)*0,15	კუბ/სთ კბ	9,98	49,9	4,6	229,54	0	0	0	229,5
				3,00				0,0	25,0	75,0	15,0
								45,0	45,0	120,0	

14	საბაზო	I-სართულის აგურის დეფორმირებული სეტების დაშლა	გ <sup>3</sup>		1,70	0,0	20,0	34,0	10,0	17,0	51,0
15	საბაზო	II სართულის გინაშენის ხის იატაქების და აიუნის კოჭების, მოხსნა და ქოში	გ <sup>3</sup>		1,10	0,0	40,0	44,0	0,0	44,0	
16	საბაზო	მინაშენის ბლოკის და II-სართულის შესასვლელის აგურის მედიების დაშლა	გ <sup>3</sup>		1,00	0,0	25,0	25,0	15,0	15,0	40,0
17	რ1-2	ნაგების დატვირთვა ავტომობილებზე ხელით	კუბ.მ		10,7	0	0	0	0	0	0,0
18	სრფ015-III	სამუშავებლივ ნაგების დატვირთვა ამანქანებზე და ტრანსპორტირება	კუბ/სთ	0,64	6,848	4,6	31,5	0	0	0	31,5
19	თ13 პ25	I-სართულის სევტების და II-სართულის მიშენების აიუნის ლითონურნისტრუქციების დამზაღება, შელევვა და მონტაჟი	ტონა	ტონა	1,75	16,50	28,88	0	0	10,65	307,5
20	საბაზო	შემუშავები №14 - 178 ელექტროლი ე-42 ანტიკონტიული საღებავი ლითონის საჭრელი დისკო	ტ	ტ	1,20	0,0	800,0	960,0	50,0	60,0	1020,0
21	15-52-1.	ფასადის კედლების დასაცავებების ენასრით. შრომითი რესურსები მანქანები ცემენტის ხსნარი	გ <sup>3</sup>	გ <sup>3</sup>	1,70 714,00 0,4 0,41 130,0	0,0 285,6 0,4 53,0	45,0 76,5 0,0 0,0 0,0	76,5 0,0 0,1 20,0 8,2	0,0 0,0 71,4 357,0 61,2	0,0 0,0 0,0 0,0 0,0	76,5 357,0 61,2
22	საბაზო	II სართულის მინაშენის რკიცებონის იატაქის ფილის მოწყობა არმატურა გამომწვარი მავთული ფ - 3 გვ დასწრებილი ხე ბეტონი	გ <sup>3</sup>	ტ კაც/სთ ლარი კუბ.მ	0,93 0,027 0,01	5,40 5,02 0,15 0,05	0,0 30,1 0,0 0,0	0,0 0,0 3,2 87,0	0,0 0,0 3,0 4,7	0,0 0,0 3,0 4,7	64,0 101,0 4,0 105,0
			გ <sup>3</sup>	ტ კაც გ <sup>3</sup>	1,00 4,0	0,10 4,0	960,0 475,0	96,0 95,0	0,0 0,0	50,0 50,0	10,0 10,0
			გ <sup>3</sup>		0,81	150,0	121,8	0,0	30,0	24,4	146,2

23	საბაზო	აგურის კედლების აღდგენა ქვიშაცემენტის დუღაბუ სტანდარტული აგური	$\delta^3$	1,30	45,0	58,5	0,0	58,5
24	15-52-1.	ფასადის კედლების ლესხა ცემენტის სნარით. ჟღომითი რესურსები მანქანუბი ცემენტის სნარი	$\delta^3$ ეჭ.მ. ჯაც/სთ ლარი ეუბ-გ	0,31	546,00 0,4 130,0 40,6	0,0 0,0 0,0 0,0	0,1 20,0 0,0 0,0	54,6 27,9 3,0 4,4
25	საბაზო	II სართულის მინაშენის ხის კოჭების მოწყობა 0,55	$\delta^3$	0,55	480,0	264,0	60,0	33,0
26	საბაზო	ხის კოჭების მინაშენის დაბოლოების (ჯორაპების) გამოცვლა $0,27*0,35*17$ დახერხილი ხე	$\delta^3$ ეჭ.მ. ეჭ.მ.	135,00 0,20	475,0	0,0 95,0	5,0 0,0	67,5 50,0
27	საბაზო	დ=19სმ ხარატულად ნაწარხი სკეტების დმზადება და მონტაჟი $3,14*0,19*3,75*2$ დ=25სმ მრგვალი ხის მორი	$\delta^3$	90,60 0,35	600,0	0,0 210,0	3,0 0,0	271,8 50,0
28	10-11-1.	სახურავის ახალი ხის კონსტრუქციების მოწყობა შრომითი რესურსები $\delta=1,15$ მანქანუბი $\delta=1,25$ ხის მასალა ლურსმანი გლინულა ანგისებისური პასტა	$\delta^3$ ეჭ.მ.	1,33	0	0	0	0,0
		კაც/სთ ლარი ეუბ.მ.		27,37 2,625 1,05	36,40 3,49 1,40	6 0 0	218,4 0 560	0 3,2 782,0
								11,2 0 0
								218,4 11,2 782,0
								20,4 3,2 20,9
29	საბაზო	(ექსპ.ეს) დათბურების 10სმ სისქის შრის მოწყობა	$\delta^2$	8,00	9,0	72,0	5,0	40,0
30	საბაზო	სახურავის ბურულებებში სამაგრი ნაჭერი რეინა-ქავეულის დამზადება,	$\delta^3$	21,50	15,0	322,5	5,0	107,5
31	საბაზო	სახურავის მოწყობა მოთუთვებული შრომითი რესურსები მოთუთვებული თუნექე ფოცარი IVს. ვიზიანი და შემი ლურსმანი მოლარტყვის	$\delta^3$ ეჭ.მ. ეჭ.მ. ეჭ.მ.	1 1,15 0,018	43 49,45 0,77	10 0 0	0 0 560	0,5 3,2 4,4
				0,06	2,58	0	2,4	6,192
						0	0	6,2

32	სახაზრო	ლურსმინი სახურავის ნაკედი გოთუთიებული მანქანები 1,IX,15=	ქმ ქშ ლარი	0,011 0,52 0,013	0,3 22,36 0,56	0 0 0	3,8 2,7 60,372	1,13 0 0	0 0 60,4	1,1 0 1,8	
33	საბაზრო	I და II საროულებზე კუდლების და ტიხოების მოწყობა ბეტონპანით ნესტიგამძლე თ/მუქაოს ფილებით ორშერიანი მინბაბების იბლისოლაციით ბეტონპანის ფილა ნესტიგამძლე მ/თაბაშირის ფილა მინ.ბაბება ლილონის გრძელი ელექტრიტეზი თვითმჭკრელი სამაგრების და	გ <sup>2</sup> გ <sup>2</sup> გ <sup>2</sup> გ <sup>2</sup>	22,00 24,20 24,20 48,40	0,0 9,0 6,0 3,5	35,0 217,8 145,2 169,4	770,0 0,0 0,0 0,0	0,0 0,5 0,3 0,1	770,0 12,1 7,3 4,8	229,9 152,5 174,2 198,0	
34	საბაზრო	ხის ქარ-ფანჯრების, მონსინა შეკრებანდების დამზადება, უკრნიტურის მოწევება, შემინვა, შეღებება და მონტაჟი	გ <sup>2</sup>	65,00	150,0	9750,0	50,0	3250,0	5,0	325,0	13325,0
35	საბაზრო	აუნიტის და მიაჯირების მხატვრულ- დეკორატიული ჰექსტრიტების დამზადება, შეღებება და მონტაჟი	გ <sup>2</sup>	1700,00	0,2	340,0	5,0	8500,0	0,8	1360,0	10200,0
36	საბაზრო	ხის ჸელექტრიტების რესტრაცია, გაწმენდა, ფასადის შეფინევა, დაგრუნტვა და 2ჯერ შრომითი რესტრაცია	გ <sup>2</sup>	10,00	5,0	50,0	6,0	60,0	1,0	10,0	120,0
37	15.156-4	მანქანები მაღალი მეღებალის მსხვილურაქციული დამამოთავრებელი უქნა ფითხი გაგ: სილიკონის საგრუნტო მაგ: მპისილან სილიკონის ფასის ბაზაზე დამზადებული სხვა სარჯები	ქ.მ. ქშ ლარი	1 0,007 0,007	70,00 0,49 0,49	7,5 525,0 0,0	0,0 0,0 0,0	0,0 0,0 0,0	0,0 0,0 3,2	0,0 0,0 1,6	0,0 525,0 284,5
38	10-37-1.	სახურავის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა და ანტისეპტიკების შრომითი რესურსები	ქავ/სთ	0,87	15,5	0	0	0	0	0,0	80,9

მანქანები სანარისაწინააღმდეგთ და ანტიუკეპტიკური სსნარი	ლარი ქშ სსეა ხარჯები	0,13 10,06	2,02 155,93	0 0	3,2 12	6,45 0	6,4 1871,2
პირდაპირი ხარჯების ჯამი:	ლარი	0,1	1,55	0	3,2	5,0	5,0
ტენიალები ხარჯები:			17667,9	22122,4		2890,5	42680,71
ჯამი:			10%			4268,07	
გეგმიური დაგროვება:			8%			46948,78	
ჯამი:			0,5%			3755,90	
სავგენერო ტედაშექვეყლობა:			0,5%			50704,69	
ჯამი:			50958,21			253,52	
საპროექტო სამუშაოები			2000,00			52958,21	
გაუფალისწინებელი ხარჯები:		5%				2647,91	
ჯამი:						53606,12	
დღე:		18%				9649,10	
ჯამი						63255,22	
ექსპრეზიუს დასკანა						759,06	
ჯამი						64014,28	

კარის გამოწვევის დროის განვითარების მიზანით



შპს „იკორთა 2007“-ის დოკუმენტობი